საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

სასაქონლო ნიშანი

გამომცემელი:
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“
3300, მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533; ელ. ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge
https://facebook.com/sakpatenti.ge/

ISBN 978-9941-0-1056-9

© საქპატენტი, 2016
ყველა უფლება დაცულია

რა არის სასაქონლო ნიშანი?

სიმბოლო, რომელიც გამოიყენება მეწარმის მიერ წარმოებული საქონლის ან გაწეული მომსახურების საიდენტიფიკაციოდ და განასხვავებს მას კონკურენტის საქონლისა თუ მომსახურებისაგან.

რა შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშანი?

- ნებისმიერი სიმბოლო, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და აქვს უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს მიერ წარმოებული საქონელი ან/და გაწეული მომსახურება, მეორე საწარმოს მიერ წარმოებული საქონლისა ან/და გაწეული მომსახურებისგან;
- სიმბოლო შეიძლება იყოს სიტყვა, სიტყვები, ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, ასევე, საქონლის ფორმა, შეფუთვა ან საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

არსებობს თუ არა ნიშნების სხვა კატეგორიაც?

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს ე.წ. კოლექტიურ ნიშნებსაც. კოლექტიური ნიშნის მფლობელია არა რომელიმე მეწარმე, არამედ მეწარმეთა გაერთიანება (ასოციაცია), რომლის წევრებიც იყენებენ მას, რათა მომხმარებელმა მათი პროდუქცია გააიგივოს გაერთიანების მიერ დადგენილი ხარისხის დონისა და სხვა მახასიათებლების, მათ შორის, გარკვეული გეოგრაფიული წარმოშობის მქონე პროდუქციასთან.

რის საფუძველზე მოიპოვება უფლებები სასაქონლო ნიშანზე?

განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხდება სასაქონლო ნიშნის უშუალოდ საქპატენტში რეგისტრაციის ან საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე. გამონაკლისს მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები წარმოადგენს, რომლებიც პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლის შესაბამისად რეგისტრაციის გარეშეა დაცული. სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდება საქპატენტის სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ.

რა არის განსაკუთრებული უფლება და რა უპირატესობას ანიჭებს ის სასაქონლო ნიშნის მფლობელს?

განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე:

- სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც დაცული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. სასაქონლო ნიშნის დატანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე, სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება ან გაწევა, სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკ-ლამისათვის ან საქმიან ქაღალდებზე და სხვ.
- ამასთან, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს.

როგორია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები?

არ რეგისტრირდება ნიშანი, რომელიც:

- არ აკმაყოფილებს სასაქონლო ნიშნის განმარტებიდან გამომდინარე მოთხოვნებს;
- არის ერთი არასტილიზებული (სტანდარტული) ასო ან ციფრი, ვინაიდან, ასეთ სიმბოლოს არ შესწევს უნარი განასხვავოს სხვადასხვა მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქტი ან/და გაწეული მომსახურება;
- შესაბამისი საქონლისთვის აღწერილობითი ან/და არაგან-მასხვავებელუნარიანია, საყოველთაოდ გამოიყენება, რო-გორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება, წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერ-მინს ან სიმბოლოს, რომლისთვისაც მოითხოვება რეგის-ტრაცია. ამასთან, დასაშვებია აღწერილობითი ან არაგან-მასხვავებელუნარიანი ნიშნის რეგისტრაციაც, თუ სასაქონ-ლო ნიშნის მფლობელი დაამტკიცებს, რომ ამ ნიშანმა გამოყენების შედეგად შეიძინა განმასხვავებელუნარიანობა;

- შეცდომაში შემყვანია ნიშნით წარმოებული საქონლის მიმართ; მცდარ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ, მცდარ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ;
- წინააღმდეგობაშია ზნეობის აღიარებულ ნორმებსა ან/და საჯარო წესრიგთან; მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა საქართველოს ან უცხო ქვეყნის ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, სახელმწიფო გერბს, დროშას, ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სასინჯ დამღას, ნიშანს (მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს), ბეჭედს, ორდენსა და მედალს, ფულის ნიშანს ან წარმოადგენს ასეთი სიმბოლოების იმიტაციას. აღნიშნული სიმბოლოების გამოყენება სასაქონლო ნიშნის ერთ-ერთ ნაწილად შესაძლებელია, თუ არსებობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ან/და მფლობელის თანხმობა;
- მსგავსია ან იდენტურია სხვა პირის სახელზე უფრო ადრე რეგისტრირებული ნიშნისა.

რა არის პრიორიტეტი?

თარიღი, რომლის შემდეგაც განაცხადს ენიჭება უპირატესობა მომდევნო განაცხადების მიმართ. პრიორიტეტი აითვლება სასაქონლო ნიშნის განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით ან თარიღით, რომელიც მიიჩნევა ასეთად და წარმოადგენს:

- პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში პირველი განაცხადის შეტანის თარიღს (საკონვენციო პრიორიტეტი), თუ ამ თარიღიდან განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღამდე გასულია არა უმეტეს 6 თვისა;
- თარიღს, როდესაც პარიზის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე მოხდა მოცემული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული ექსპონატის წარდგენა;
- თარიღს, როდესაც საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძ-

ველზე მოთხოვნილ იქნა სასაქონლო ნიშნის დაცვის გავრცელება საქართველოზე.

თუ რამდენიმე სასაქონლო ნიშანს აღმოაჩნდა ერთი და იგივე პრიორიტეტი, უპირატესობა ენიჭება სასაქონლო ნიშანს, რომლის ფაქტობრივი გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრე დაიწყო.

რა უფლება გააჩნია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს?

- მიიღოს ნებისმიერი, კანონით დადგენილი ზომა მისი განსაკუთრებული უფლებების დარღვევის აღსაკვეთად;
- ნიშანზე განსაკუთრებული უფლებები გადასცეს სხვა პირს მთლიანად ან ნაწილობრივ;
- გასცეს ლიცენზია სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე.

ვის აქვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უფლება?

ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, თვითონ ან წარმომადგენლის მეშვეობით. უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, საქპატენტთან ურთიერთობას წარმართავს

საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირის მეშვეობით.

როგორია სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ვადა?

ვადა განისაზღვრება 10 წლით, განაცხადის საქპატენტში წარდგენის თარიღიდან და შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით, გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად.

რა არის საჭირო საქართველოში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის?

განაცხადი უნდა წარედგინოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- თხოვნას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ;
- განმცხადებლის სრულ სახელს (სახელწოდებას) და იურიდიულ მისამართს;
- სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას;
- იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. დასაშვებია საქონლის ჩამონათვალის უცხო ენაზე წარდგენა დანართის სახით, რომლის ქართულ ენაზე თარგმანიც საქპატენტს წარედგინება განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში;
- წარმომადგენლის ვინაობას და მისამართს, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ;
- კოლექტიური ნიშნის დებულებას, – თუ განაცხადი შეტანილია კოლექტიურ ნიშანზე;
- განმცხადებლის ან წარმომადგენლის ხელმოწერას განაცხადზე.

განაცხადი დამატებით შეიძლება შეიცავდეს – საპრიორიტეტო საბუთს, თუ მოითხოვება საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტი.

ელექტრონული განაცხადი

საქპატენტში სასაქონლო ნიშნის განაცხადის წარდგენა ეროვნული წესით, როგორც ჩვეულებრივი, ასევე დაჩქარებული

პროცედურის შემთხვევაში, შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ მისამართზე – http://efiling.sakpatenti.ge/.

რა ენაზე უნდა იყოს შედგენილი განაცხადი?

საქპატენტში განაცხადი მიიღება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. საგანაცხადო მასალების წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ ენაზე. ამასთან, საგანაცხადო მასალების სხვა ენაზე წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელმა განაცხადის შეტანიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა უზრუნველყოს ქართული თარგმანის წარდგენა.

რა პროცედურებს ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია?

- ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა – ტარდება განაცხადის შეტანიდან ორი თვის ვადაში;
- არსობრივი ექსპერტიზა – ტარდება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებიდან ექვს თვეში, რომლის დროს მოწმდება, არსებობს თუ არა წარმოდგენილი სიმბოლოს რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური ან/და შედარებითი საფუძვლები. არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;
- გამოქვეყნება – ნიშნის განაცხადზე, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში განაცხადის მასალები ქვეყნდება სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. თუ გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში საქპატეტნტთან არსებულ სააპელაციო პალატაში არ შევიდა სააპელაციო საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება, მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში და ერთი თვის ვადაში გაიცემა მოწმობა;
- შესაძლებელია სასაქონლო ნიშნის განაცხადზე დაჩქარებული ექსპერტიზა, განაცხადის შეტანისთანავე ან შეტანიდან ერთი თვის ვადაში. განაცხადის შეტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

დგინდება პრიორიტეტის თარიღი და ტარდება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა, თუ განაცხადი წარდგენილია კანონისა და ინსტრუქციით დადგენილი წესების დაცვით და გადახდილია დაჩქარებული პროცედურისათვის დადგენილი საფასური. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში განაცხადს უტარდება არსობრივი ექსპერტიზა და, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნების რეესტრში, მისი მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში და გაიცემა მოწმობა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ;

- სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სააპელაციო პალატაში შეიტანოს სააპელაციო საჩივარი რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

როგორც საქპატენტის ექსპერტიზის, ისე სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების გასაჩივრება, კანონით განსაზღვრული წესით, შესაძლებელია სასამართლოში.

რისი უფლება აქვს განმცხადებელს?

- წერილობითი განცხადების საფუძველზე, შეავსოს, შეცვალოს, შეასწოროს ან/და დააზუსტოს განაცხადის მასალა. ამასთან, დასაშვებია სარეგისტრაციო სიმბოლოს მხოლოდ არაარსებითი ცვლილება, ხოლო საქონლის ჩამონათვალის – მხოლოდ შეზღუდვა ან დაზუსტება. განაცხადის განსახილველად მიღების (პრიორიტეტის თარიღის დადგენის) შემდეგ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილება, გარდა საქონლის ჩამონათვალის გაზრდისა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ;
- გამოითხოვოს/შეაჩეროს განაცხადის განხილვა;
- მოითხოვოს საქპატენტის მიერ გაგზავნილ მოთხოვნაზე დამატებითი მასალის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის გაგრძელება ერთი თვით;
- ვადების დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა.

რა არის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი?

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს საქპატენტი:

- სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით;
- თუ რეგისტრაცია განხორციელდა დაჩქარებული წესით და რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში წარდგენილია უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადი, რომელიც მსგავსია ან იდენტურია დაჩქარებული წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა;
- მფლობელის მიერ რეგისტრაციის მოქმედების გაგრძელების საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო. თუმცა, რეგისტრაცია გაუქმებულად არ მიიჩნევა, თუ მფლობელი რეგისტრაციის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 6 თვეში გადაიხდის სასაქონლო ნიშნის აღდგენისა და შემდგომი პერიოდისათვის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურს;

- სასაქონლო ნიშნის მფლობელი ფიზიკური პირის გარ-დაცვალების შემთხვევაში, თუ მას არ დარჩა მემკვიდრე, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ არ არსებობს უფლებამონაცვლე.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით თუ:

- სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც არის ეს ნიშანი რეგისტრირებული საქართველოში;
- სასაქონლო ნიშანი იქცა გვარეობით ცნებად იმ საქონლის-თვის, რომლის მიმართაც ის არის რეგისტრირებული.

რა შემთხვევაში ხდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა?

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:

- არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი;
- რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით;
- რეგისტრაცია მოხდა პარიზის კონვენციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმო-მადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე;
- შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელზედაც უფლებები წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე გა-ნაცხადის შეტანამდე, რის შედეგადაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა;
- რეგისტრაციით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები, რომლებიც წარმოშობილია სასაქონლო ნიშნისათვის დად-გენილი პრიორიტეტის თარიღამდე.

რა საფასურები უნდა იყოს გადახდილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და ძალაში შენარჩუნებისათვის?

- ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასური;
- არსობრივი ექსპერტიზის საფასური;
- გამოქვეყნების საფასური;
- რეგისტრაციის საფასური;
- ყოველი 10 წლით ძალაში შენარჩუნების საფასური;
- საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნის, განაცხადის მასალებში ცვლილებების შეტანის, განაცხადის განხილვის შეჩერების, შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის წარდგენის ვადის გაგრძელების, რეესტრში ცვლილების შეტანის, საქმისწარმოების აღდგენისა და სხვა ქმედებებისათვის განსაზღვრული საფასურები.

როგორ უნდა დაარეგისტრიროს საქართველოს მოქალაქემ ან რეზიდენტმა პირმა (ფიზიკური ან იურიდიული) ნიშანი საზღვარგარეთ?

- განაცხადი შეიტანოს უშუალოდ იმ ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში, სადაც სურს განსაკუთრებული უფლებების მოპოვება;
- განაცხადი წარადგინოს „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმების ოქმით“ გათვალისწინებული პროცედურების საფუძველზე.

რა არეგულირებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ უფლებებს საქართველოში?

- საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“;
- სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს №05 ბრძანებით დამტკიცებული – „ინსტრუქცია სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“;
- „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილება;
- „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია“ (საქართველო წევრია 1991 წლიდან);
- „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი“;
- „შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (საქართველო წევრია 2000 წლიდან);
- საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლი.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტი“ პოლიგრაფია
0179, თბილისი, საქართველო, ნ. რამიშვილის ქ. №31
ტელ.: +995 32 2252533, info@sakpatenti.org.ge